1.3. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს მიერ 2015 წლის განმავლობაში განხორციელებული სამუშაოები

- **ახალი და გლობალური მიდგომის დირექტივების შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტების შემუშავების პროცესი**

სსიპ - ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო განაგრძობს მუშაობას ახალი და გლობალური მიდგომის დირექტივებთან შესაბამისი ეროვნული ტექნიკური რეგლამენტების შემუშავებაზე, საქართველოს მთავრობის 2010 წლის 25 აგვისტოს №1140 განკარგულებით დამტკიცებული "სტანდარტიზაციის, აკრედიტაციის, შესაბამისობის შეფასების, ტექნიკური რეგლამენტისა და მეტროლოგიის სფეროში საკანონმდებლო რეფორმის და ტექნიკური რეგლამენტების მიღების სამთავრობო პროგრამის დამტკიცების შესახებ" პროგრამით (შემდგომში - საქართველოს მთავრობის პროგრამა) გათვალისწინებული ვალდებულებების ფარგლებში.

ამასთანავე, აღნიშნული ვალდებულების ფარგლებში საქართველომ ასოცირების ხელშეკრულების მიღების შემდეგ 4-8 წლის პერიოდში უნდა მოახდინოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული 16 ახალი მიდგომის დირექტივის ინკორპორირება საქართველოს კანონმდებლობაში *(დირექტივები განსაზღვრულია, როგორც ასოცირების ხელშეკრულების 3A დანართით, ასევე საქართველოს მთავრობის პროგრამით).*

აღნიშნული დირექტივების დასანერგად სააგენტო გეგმავს შეიმუშაოს მისაღები ტექნიკური რეგლამენტების გეგმა და შესაბამისი ვადები, რომლის მიხედვითაც დაიწყებს მუშაობას ევროდირექტივების შესაბამისი ქართული ტექნიკური რეგლამენტების პროექტების შემუშავებაზე.

- **საკანონმდებლო საქმიანობა**

განხილვის სტადიაშია სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს (შემდგომში- სააგენტო) მიერ შემუშავებული და სტანდარტებისა და მეტროლოგიის სააგენტოს სტანდარტების დეპარტამენტში შესათანხმებლად გადაგზავნილი შემდეგი სტანდარტების პროექტები:

- საქართველოს სტანდარტი ,,მადნეული და არამადნეული საბადოების მიწისქვეშა წესით დამუშავების უსაფრთხოების წესები";
- საქართველოს სტანდარტი ,,კარიერების უსაფრთხოების წესები".

შეტანილ იქნა ცვლილება ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის დადგენილებაში, რომლის თანახმად V კლასის შენობა-ნაგებობებს დაემატა შესაბამისი სამართლებრივი აქტით განსაზღვრული, გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორიაზე ასაშენებელი შენობა-ნაგებობები.

აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს - აკრედიტაციის ცენტრთან ერთობლივი მუშაობის შედეგად, ცვლილება იქნა შეტანილი შემდეგ ნორმატიულ აქტში: საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 აპრილის N167 დადგენილება ,,ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე აირბალონიანი მოწყობილობის განთავსების, ტექნიკურ მოთხოვნებთან მისი შესაბამისობის

შეფასების და უსაფრთხო ექსპლუატაციის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“. აღნიშნული ცვლილება მიზნად ისახავს, მოთხოვნების განსაზღვრას სატრანსპორტო საშუალებებზე აირბალონიანი მოწყობილობების განთავსება, მოხსნა, დაყენებისა და პარამეტრების შეცვლისათვის.

მომზადდა საქართველოს კანონის პროექტი ,,პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ”, რომლის თანახმად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსდ - ტექნიკური და სამშენებლო ინსპექციის უფლებამონაცვლედ 1998-2006 წლებში წარმოშობილი ფინანსური ვალდებულებების ნაწილში უნდა ჩაითვალოს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში შეტანილ იქნა ცვლილება, რომლის თანახმად მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტების ჩამონათვალიდან ამოღებულ იქნა საშიში ნარჩენების ნაგავსაყრელი ან/და ტერაკონი და სამრეწველო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების ნაგავსაყრელი. აღნიშნული ცვლილებების სააგენტოს საქმიანობის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებში ასხავის მიზნით ასევე ცვლილებები შევიდა შემდეგ ნორმატიულ აქტებში:

- საქართველოს მთავრობის 2015 წლის 27 აპრილის N187 დადგენილება „მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტის უსაფრთხოების პერიოდული ინსპექტირების განმახორციელებელი აკრედიტებული ინსპექტირების ორგანოების პასუხისმგებლობის დაზღვევისათვის სადაზღვევო კომპანიების შერჩევის კრიტერიუმებისა და დაზღვევის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 31 ივლისის N318 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“,
- საქართველოს მთავრობის 2015 წლის 27 აპრილის N186 დადგენილება: „მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტების ზღვრული ტექნიკური პარამეტრების დადგენის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 28 დეკემბრის N488 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“,
- საქართველოს მთავრობის დადგენილება 2015 წლის 27 აპრილის N189 „მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტების ინსპექტირების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 10 ივლისის N173 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“,
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2015 წლის 13 მაისის N1-1/183 ბრძანება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 23 ივლისის N1–1/1527 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

2015 წლის 29 აპრილს შეტანილ იქნა ცვლილება პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში, რომლის თანახმად გაფართოვდა სააგენტოს არეალი, რადგანაც აირსავსები და აირგასამართი სადგურები დაექვემდებარენ სრულ ტექნიკურ ინსპექტირებას.

ზემოაღნიშნული ცვლილების სააგენტოს საქმიანობის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებში ასხავის მიზნით, ცვლილებები შევიდა შემდეგ ნორმატიულ აქტებში:

- საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 ივლისის დადგენილება N382 „მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტის უსაფრთხოების პერიოდული ინსპექტირების განმახორციელებელი აკრედიტებული ინსპექტირების ორგანოების პასუხისმგებლობის დაზღვევისათვის სადაზღვევო კომპანიების შერჩევის კრიტერიუმებისა და დაზღვევის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 31 ივლისის N318 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“,
- საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 ივლისის დადგენილება N383 „მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტების ინსპექტირების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 10 ივლისის N173 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“,
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2015 წლის 21 სექტემბრის ბრძანება N1-1/398 „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 23 ივლისის N1–1/1527 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

სააგენტოში განხორციელდა სტრუქტურული რეორგანიზაცია. არქიტექტურულ-სამშენებლო ზედამხედველობის სამმართველოს ბაზაზე შეიქმნა ორი სამმართველო: საწარმოო, საზოგადოებრივი და სხვა დანიშნულების ობიექტების მშენებლობის სახელმწიფო ზედამხედველობის სამმართველო და ენერგოგენერაციის და მასთან დაკავშირებული ობიექტების მშენებლობის სახელმწიფო ზედამხედველობის სამმართველო.

აღნიშნული რეორგანიზაციიდან გამომდინარე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2015 წლის 22 სექტემბრის ბრძანებით N1-1/399 შესაბამისი ცვლილება იქნა შეტანილი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 23 ივლისის №1-1/1527 ბრძანებაში „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“. აღნიშნული ცვლილებით ასევე ინფორმაციული უზრუნველყოფის სამმართველოს ფუნქციებს დაემატა - განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობის ნებართვების გაცემის ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობის მიღება კომპეტენციის ფარგლებში.

მომზადდა საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ რომელიც მიზნად ისახავს აღნიშნულ დადგენილებაში არსებული ტექნიკური ხარვეზების გამოსწორებას, მის ჰრმონიზაციას მოქმედ კანონმდებლობასთან.

მომზადდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანების პროექტი ,,საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ'' საქართველოს კანონით გათვალისწინებული სამინისტროს ან მისი მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების მიერ სამშენებლო დოკუმენტაციის წარმოებისა და შეთანხმების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2010 წლის 25 მაისის N1-1/842 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, რომელიც მიზნად ისახავს არსებული ტექნიკური ხარვეზების გამოსწორებას, მის ჰრმონიზაციას მოქმედ კანონმდებლობასთან.

- **მშენებლობისა და ტექნიკური უსაფრთხოების კუთხით განხორციელებული ღონისძიებები**

2015 წლის განმავლობაში შემოწმებულ იქნა შემდეგი მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტები:

- ამწე მოწყობილობა - 129; ლიფტი - 960; მათ შორის: ბაზარზე ახლადდამონტაჟებული ლიფტების განთავსებისას ტექნიკური დათვალიერების შედეგად - 395.
- ესკალატორი – 57;
- საბაგირო მოწყობილობა - 27;
- წნევაზე მომუშავე ჭურჭელი - 39;
- საქვაბე დანადგარი - 7;
- შახტი -2;
- მაღარო - 15 (მათ შორის 11 - გეგმიური და 4 - არაგეგმიური)
- კარიერი - 48;
- მღვიმე - 2;
- იარაღითა და საბრძოლო მასალებით ვაჭრობისათვის განკუთვნილი შენობა-ნაგებობა-20;
- მაგისტრალური გაზსადენი - 22;
- ნავთობბაზა - 6;
- ჰაერის დაყოფის დანადგარი -2;
- რეზერვუარში/ცილინდრში ჟანგბადის ჩაჭირხვნა - 8;
- ამიაკზე მომუშავე სამაცივრო დანადგარი - 1.
- აირგასამართი და აირსავსები სადგური - 95

განხილულ იქნა პროექტები:

ნავთობის ბაზების გაფართოება და რეკონსტრუქცია - 4.
IV კლასის ობიექტების პროექტი - 52,
ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის პროექტი - 1;
ბითუმის დასამზადებელი და განთავსების ქარხნის პროექტი - 1;
აირტურბინული თბოსადგური - 1;
საშუალო წნევის გაზსადენი -6;
აირსავსები სადგურები - 8.

ასევე განხილულ იქნა:
V კლასის მაგისტრალური გაზსადენის პროექტი - 48;
ნავთობის ბაზა -10;

გაცემული იქნა სამრეწველო დანიშნულების ფეთქებადი მასალების გამოყენების - 26 ნებართვა. სანებართვო მოსაკრებელმა შეადგინა 11 560 ლარი.

ტექნიკური ინსპექტირების შედეგად:
უსაფრთხოების წესების დარღვევისათვის 158 125 ლარით დაჯარიმდა 181 ობიექტი.

- **ამავე პერიოდში სამშენებლო კუთხით განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:**

- გაიცა განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობის - 90 (101) ნებართვა,
- მშენებლობის თაობაზე 17 შეთანხმება,
  სანებართვო მოსაკრებელმა შეადგინა 994512.96 ლარი;

- შეთანხმდა IV კლასის ობიექტი - 139;
- ზედამხედველობა განხორციელდა 80 ობიეტზე;
- არქიტექტურულ – სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევების გამო დაჯარიმდა - 29 ობიექტი.
  ჯარიმის საერთო რაოდენობამ შეადგინა - 314 375 ლარი;
- ექსპლუატაციაში იქნა მიღებული - 31 ობიექტი.

სააგენტოში **მიმდინარეობს გეოინფორმაციული სისტემების დანერგვის პროცესი.** პირველი ეტაპი დასრულდა 2014 წელს და 2015 წელს ჩატარდა მეორე ეტაპით განსაზღვრული ღონისძიებები.

მეორე ეტაპით განსაზღვრული ღონისძიების ფარგლებში 2015 წლის 29 ივნისს გამოცხადდა ტენდერი, რომელიც ითვალისწინებს სააგენტოს გეოინფორმაციული სისტემებით უზრუნველყოფას თანმდევი მომსახურებით. გათვალისწინებული სამუშაოებიდან განხორციელდა სერვერული პროგრამული უზრუნველყოფის შეძენა/ინსტალაცია, არსებული მონაცემთა ბაზის სერვერზე განთავსება, გამართვა, დონეების ჩამოყალიბება და სერვერზე განთავსება. ასევე განხორციელდა შიდა მომხმარებლისთვის რუკების და შიდა ვებ-აპლიკაციის შექმნა. ასევე ჩატარდა ტენდერით გათვალისწინებულია პროგრამული უზრუნველყოფის შესახებ სწავლება სააგენტოს თანამშრომლებისთვის.

ამასთანავე, მიმდინარეობს ინტერაქციის ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის დანერგვა, რომელიც უზრუნველყოფს ელექტრონულ დოკუმენტბრუნვას, როგორც განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების (მათ შორის, რადიაციული და ბირთვული ობიექტების) მშენებლობის და სამრეწველო დანიშნულების ფეთქებადი მასალების გამოყენების ნებართვების გაცემასთან დაკავშირებით, ისე სანებართვო პირობების შესრულების ზედამხედველობის კუთხით.

ამ ეტაპზე მიმდინარეობს პროგრამული უზრუნველყოფის ტესტირება და პროგრამის განმახორციელებელი კომპანიის წარმომადგენლებთან ინტენსიური მუშაობა პროგრამული ხარვეზებისა და საჭიროებების იდენტიფიცირებისა და გაუმჯობესების მიზნით.

ზემოაღნიშნული სისტემების საბოლოო დანერგვა განხორციელდება 2016 წლის იანვრის ბოლოსთვის.

დასახული საბოლოო შედეგები

- გაუმჯობესებული უსაფრთხოება მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველ ობიექტებზე;
- გაუმჯობესებული საკანონმდებლო გარემო.

მიღწეული საბოლოო შედეგები

- ობიექტებზე განხორციელებული ინსპექტირებები;
- შესაბამის ნორმატიულ აქტებში განხორციელებული ცვლილებები.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

გამოვლენილი დარღვევების შედეგად დაჯარიმებული ობიექტები.

- არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევების გამო - 29 ობიექტი (ჯარიმის საერთო რაოდენობა - 314 375 ლარი);
- ტექნიკური ინსპექტირების შედეგად უსაფრთხოების წესების დარღვევისთვის - 181 ობიექტი (ჯარიმის საერთო რაოდენობა - 158 125 ლარი).

განმარტება დასახულ მიზანსა და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე:

1. დასახული მიზნის განსახორციელებლად და საბოლოო შედეგის მისაღებად უნდა მოხდეს შესაბამისი საქართველოს კანონმდებლობის დაახლოება ევრო კანონმდებლობასთან, რაც საკმაოდ ხანგრძლივი პროცედურაა და დაკავშირებულია დროსთან.